

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომის ოქმი

(1 დეკემბერი, 2009 წელი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ოთახი #208)

სხდომის დღის წესრიგი:

1. სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულება და საბჭოს სამდივნო;
2. სახელობო განათლებისა და მომზადების სიტუაციური ანალიზი (baseline analysis);
3. სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს 2010 წლის სამოქმედო გეგმა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვახტანგ ლეჟავა – მმართველობისა და ეკონომიკურ საკითხებში საქართველოს პრემიერ–მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის (სამსახურის) უფროსი;
2. მარინე ჭოლოშვილი – საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;
3. ირაკლი კახნიაშვილი – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი;
4. ჯამბულ ბაკურაძე – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე;
5. ილია მაღალაშვილი – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;
6. ირინე ქურდაძე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე;
7. თეა სიფრაშვილი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
8. ნიკოლოზ ფრუიძე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
9. ეკატერინე ეგუტია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის წარმომადგენელი;
10. თეა გულუა – საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
11. თამარ ტაბიძე – პროფესიული სწავლების ცენტრის „იკაროსის“ დირექტორი;
12. ირაკლი პეტრიაშვილი – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
13. დენის დავითაშვილი – საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე;
14. ელგუჯა მელაძე – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

15. ზაზა ცირამუა – ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი.

სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ქ-ნი ირინე ქურდაძე, რომელმაც მაღლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისათვის და გააცნო ის ნორმატიული აქტები, რომლებიც სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს შექმნას უკავშირდებოდა. კერძოდ,

1) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ნოემბრის #203 დადგენილება სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;

2) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 19 ნოემბრის №1022 ბრძანების საფუძველზე, ჩამოყალიბდა ეროვნული პროფესიული საბჭოს სამდივნო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლები: თეა სიფრაშვილი – დეპარტამენტის უფროსი და თამარ სამხარაძე – დეპარტამენტის უფროსის სპეციალისტი.

3) საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანებით (№342; 2009 წლის 24 ნოემბერი) დამტკიცდა სახელობო განათლებისა და მომზადების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის.

ქ-ნმა თეა სიფრაშვილმა წარმოადგინა სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს 2010 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი და ისაუბრა იმ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელებაც მიზანშეწონილი იქნებოდა 2010 წლისთვის გამომდინარე იმ ამოცანებიდან, რომლებიც სახელობო განათლების რეფორმის სტრატეგიაშია („სახელობო განათლებისა და მომზადების შუალედური 2009-2012 წლების სტრატეგია“) დასახული. კერძოდ, 2010 წელს ეროვნულმა პროფესიულმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს:

1. თემატური ჯგუფების ჩამოყალიბება და შემადგენლობების განსაზღვრა;
2. სახელობო დონეზე „საგანმანათლებლო ჩიხის“ აღმოფხვრის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტის განხილვა;
3. პროფესიული განათლების საინფორმაციო კამპანიის პოლიტიკის განხილვა;
4. პროფესიული განათლების სფეროში ფუნქციური, საკორდინაციო და ადამიანური რესურსების საჭიროებების ანალიზის ამსახველი დოკუმენტის განხილვა;
5. სტრატეგიის 2010 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშის განხილვა;
6. სახელობო განათლების კერძო და საჯარო პროვაიდერების მიერ მიწოდებული პროგრამების შესახებ სტუდენტთა აზრის გამოკითხვის შედეგების განხილვა;
7. პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა;
8. პროფესიული სტანდარტების განხილვა;
9. პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხის განხილვა;
10. ატესტაციის პირობებისა და წესის განხილვა;
11. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების არსებული პოლიტიკის და სისტემის განხილვა;
12. პროფესიული განათლების ხარისხის მართვის კონცეფციის განხილვა;
13. სახელობო განათლებაში პარტნიორობის პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა;
14. პროფესიული განათლების მონიტორინგის კონცეფციის განხილვა;
15. მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა;
16. პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განხილვა.

გარდა ამისა, საბჭომ უნდა უზრუნველყოს 2 გაფართოებული სხდომის ორგანიზება პროფესიული განათლების დაინტერესებულ მხარეებთან.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ გააკეთა მოკლე განმარტება, რომ დებულების თანახმად, ზემოთჩამოთვლილ საკითხებზე იმუშავებენ საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული თემატური საუშაო ჯგუფები და/ან დამოუკიდებელი ექსპერტები, ხოლო მასალების მომზადება და თავმოყრა მოხდება საბჭოს სამდივნოში. შესაბამისად, სამდივნოს წევრებმა უნდა უზრუნველყონ ყველა არსებული დოკუმენტის დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.

ბ-ნმა დენის დავითაშვილმა გამოთქვა შენიშვნა, რომ ეროვნული პროფესიული საბჭოს სამდივნოში არ უნდა შედიოდნენ მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები. გარდა ამისა, საბჭოს შემადგენლობა ძირითადად მინისტრის მოადგილეებით არის დაკომპლექტებული, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი დრო, რომ სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ მუშაობაში. ამდენად, მიზანშეწონილია დაისვას საკითხი საბჭოს გაფართოების შესახებ. ბ-ნი დენის დავითაშვილის აზრით, ეფექტური იქნება, თუ საბჭოს შემადგენლობაში შევლენ რეგიონების პროფესიული სწავლების ცენტრების დირექტორები, რადგან რეგიონული წარმომადგენლობა ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია.

აღნიშნულთან დაკავშირებით ქ-ნმა ირინე ქურდაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოება არ გაზრდის მის ეფექტურობას, ხოლო დაინტერესებულ პირთა და ექსპერტთა, ასევე იმ პროფესიული სწავლების ცენტრების ჩართვა საბჭოს მუშაობაში, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი ამჟამად საბჭოში, შესაძლებელია თემატურ სამუშაო ჯგუფებში.

ქ-ნმა თამარ ტაბიძემ განაცხადა, რომ პროფესიული სწავლების ცენტრი „იკაროსი“ და ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრი უფლებამოსილნი არიან ისაუბრონ პროფესიული სასწავლებლების სახელით და იყვნენ მათი ინტერესების დამცველნი ეროვნულ პროფესიულ საბჭოში.

ბ-ნმა ვახტანგ ლეჟავამ გამოთქვა შენიშვნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში (2010 წლის სამოქმედო გეგმა) არ არის საუბარი ზოგადად სისტემის ხედვაზე, კონცეფციაზე, თუ როგორი უნდა იყოს სისტემა 5–10 წლის შემდეგ, და სასურველი იქნებოდა ერთი თემატური ჯგუფი ამ კუთხითაც შექმნილიყო.

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა ბ-ნი ზაზა ცირამუა და აღნიშნა, რომ ხედვის ჩამოყალიბება არის ცენტრალური საკითხი, მაგრამ მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დონეზე ეს საკითხი ვერ გადაწყდება.

ქ-ნმა თეა სიფრაშვილმა დასვა კითხვა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ეროვნული პროფესიული საბჭო უარს ამბობს 2005 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ პროფესიული განათლების კონცეფციაზე (დადგენილება №150; 2005.31.08)?

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ განაცხადა, რომ 2005 წლის კონცეფცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას საბაზისო დოკუმენტად, თუმცა ცხადია, რომ კონცეპტუალურ დონეზე ბევრი საკითხია გადასაწყვეტი.

გაირკვა, რომ საბჭოს რამდენიმე წევრი არ იცნობდა 2005 წლის კონცეფციის დოკუმენტს და შესაბამისად, შეთანხმდნენ, რომ საბჭოს წევრები საფუძვლიანად გაეცნობოდნენ აღნიშნულ დოკუმენტს, ხოლო დამატებითი თემატური ჯგუფი იმუშავებდა საკითხებზე, თუ რამდენად არის აღნიშნული კონცეფცია კვლავაც აქტუალური.

ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები შეთანხმდნენ 2010 წლის სამოქმედო გეგმის არსებული სახით მიღებაზე, რადგან პრინციპული ხასიათის შენიშვნები არ გამოიკვეთა.

ქ-ნმა თეა სიფრაშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი – სახელობო განათლებისა და მომზადების სიტუაციური ანალიზი.

„სახელობო განათლებისა და მომზადების სიტუაციური ანალიზის“ დოკუმენტთან დაკავშირებით, ბ-ნმა ვახტანგ ლეჟავამ წარმოადგინა შემდეგი შენიშვნები:

1. დოკუმენტში მითითებულია, რომ სიტუაციური ანალიზი მომზადებულია 4 წლიანი სტრატეგიის ფარგლებში. თუ აქ იგულისხმება პრემიერ მინისტრის მიერ დამტკიცებული სტრატეგია, მაშინ უნდა მიეთითოს აღნიშნული დოკუმენტის სრული სახელი - „სახელობო განათლებისა და მომზადების 2009-2012 წლების შუალედური სტრატეგია“;
2. დოკუმენტში მოცემულია სიტუაციის აღწერა და არა ანალიზი;
3. დოკუმენტს აქვს დიდი შესავალი, რაც შეიცავს სრულიად ზედმეტ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა გადატანილ იქნას დანართებში;

ქ-ნმა ირნე ქურდაძემ ბოლო შენიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სრულიად შესაძლებელია წარმოდგენილ დოკუმენტში ცვლილებების შეტანა და შესავალი ნაწილის უფრო კომპაქტურად წარმოდგენა.

ბ-ნი დენის დავითაშვილის შენიშვნა შეეხო დოკუმენტში მოცემულ ზოგად ინფორმაციას საქართველოს განათლების სისტემის შესახებ. მისი აზრით, თუ ვსაუბრობთ სახელობო განათლებისა და მომზადების სიტუაციურ ანალიზზე, დოკუმენტში დიდი დოზით არ უნდა იყოს მოწოდებული ინფორმაცია განათლების სხვა დონეების შესახებ.

ბ-ნი ვახტანგ ლეჟავას აზრით, შესაძლებელია, საქართველოს განათლების სისტემის შესახებ ზოგადი ინფორმაცია გადატანილ იქნას დანართებში.

ბ-ნმა ვახტანგ ლეჟავამ საბჭოს წევრებს შესთავაზა სპეციალური შეხვედრის ორგანიზება, თემატური ჯგუფების ძირითადი სამუშაო აღწერილობების ჩამოყალიბების მიზნით.

სხდომა შეაჯამა ქ-ნმა ირნე ქურდაძემ:

1. გათვალისწინებულ იქნას ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრთა შენიშვნები „ეროვნული პროფესიული საბჭოს 2010 წლის სამოქმედო გეგმასა“ და „სახელობო განათლებისა და მომზადების სიტუაციური ანალიზის“ დოკუმენტში;
2. დეველოს ეროვნული პროფესიული საბჭოს სამდივნოს კორექტირებული დოკუმენტების დაგზავნა ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრებისათვის.

სხდომის თავმჯდომარე:
ირნე ქურდაძე

სხდომის მდივანი:
თამარ სამხარაძე